

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს მთავრობასა

და

კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობასა
შორის

შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და
გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის“
შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით

ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური კავშირების გაფართოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებების დადება იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია ეკონომიკური ინტერესები. ამგვარი შეთანხმებები არეგულირებენ ხელშემკერული ქვეყნების იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მეორე ქვეყანაში გაწეული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გადასახადებით დაბეგვრის პირობებს.

აღნიშნული შეთანხმების გაფორმების რიგითობის განსაზღვრის დროს საქართველოს ამჟამინდელ პრიორიტეტს წარმოადგენს კვიპროსის რესპუბლიკა.

წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის ტექსტი ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოდელს. მოდელის შესაბამისად, შეთანხმებით გათვალისწინებულია შემოსავლების დაბეგვრა შემოსავლის წყაროს ქვეყანაში გარკვეული შეზღუდვებით, შეზღუდვების გარეშე ან მხოლოდ რეზიდენტობის ქვეყანაში. შემოსავლის წყაროს ქვეყანაში დაბეგვრის შემთხვევაში ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით რეზიდენტის ქვეყანა იღებს ვალდებულებას, რომ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ბაზის გაანგარიშების დროს გაითვალისწინოს წყაროს ქვეყანაში გადახდილი გადასახადი.

შეთანხმების პროექტის დებულებებთან მიმართებაში აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი:

1. მე-4 მუხლით (რეზიდენტი) განსაზღვრულია ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ხდება ფიზიკური და იურიდიული პირების რეზიდენტობის დადგენა.

2. მე-5 მუხლის (მუდმივი დაწესებულება) მე-3 პუნქტის მიხედვით, სამშენებლო ობიექტი მუდმივ დაწესებულებად ითვლება მისი დაარსებიდან 9 თვის შემდეგ. ამ პერიოდის განმავლობაში სამშენებლო ობიექტი პირდაპირი გადასახადებით არ დაიბეგრება.

3. მე-6 მუხლი არეგულირებს უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრას.

4. მე-7 მუხლი არეგულირებს საწარმოს მოგების დაბეგვრას. კერძოდ, თუ ერთი ხელშემკერული სახელმწიფოს საწარმო ახორციელებს თავის საქმიანობას მეორე ხელშემკერულ სახელმწიფოში იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მისი მოგება დაიბეგრება ამ მეორე

სახელმწიფოში (შემოსავლის წყაროსთან), მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ამ მუდმივ დაწესებულებას.

5. მე-8 მუხლის (საერთაშორისო გადაზიდვები) თანახმად საზღვაო გემებით და საჰაერო ხომალდებით საერთაშორისო გადაზიდვებიდან მიღებული მოგება დაიბეგრება იმ ქვეყანაში, რომლის რეზიდენტიც არის საწარმო.

6. დივიდენდი (მე-10 მუხლი), პროცენტი (მუხლი 11) და როიალტი (მუხლი 12) დაიბეგრება რეზიდენტობის მიხედვით.

7. უძრავი ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები დაიბეგრება ქვეყანაში, რომელშიც განთავსებულია ეს უძრავი ქონება, ანუ შემოსავლის მიღების წყარო ქვეყანაში, ხოლო კაპიტალის სხვა ელემენტების გასხვისებით მიღებული შემოსავლები- შემოსავლის მიმღების რეზიდენტობის მიხედვით (მე-13 მუხლი).

8. ფიზიკური პირის დამოუკიდებელი პირადი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები დაიბეგრება რეზიდენტის ქვეყანაში (მე-14 მუხლი). ამგვარი შემოსავლები შეიძლება დაიბეგროს შემოსავლის წყაროს ქვეყანაშიც, თუ ეს საქმიანობა ხორციელდება იქ არსებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით.

9. სპორტსმენებისა და ხელოვნების მუშაკების (მე-16 მუხლი) შემოსავლები იბეგრება ანაზღაურების წყაროს ქვეყანაში.

10. სტუდენტები (მუხლი 20), რომლებიც განათლების მისაღებად იმყოფებიან მეორე სახელმწიფოში, თავისუფლდებიან ამ ქვეყნის გადასახადებისაგან, თუ მათი დაფინანსების წყარო მდებარეობს ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

11. 23-ე მუხლით რეგულირდება რეზიდენტის ქვეყანაში ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საკითხები.

შეთანხმება ზოგიერთ შემთხვევაში ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებული ნორმების დაწესებას. თუმცა, პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირების შემთხვევაში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ კანონის თანახმად (მუხლი 6) შეთანხმებას მიენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო აქტებთან მიმართებაში. საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატეს იურიდიულ ძალას აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსიც (მუხლი 2, პუნქტი 7).

შეთანხმების გაფორმება საქართველოსთვის არ გამოიწვევს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს და საბიუჯეტო ხარჯების ზრდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თვლის, რომ „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმების პროექტი შეესაბამება საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს. მასში გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გაფორმება.